პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 145 (6200)

1978 წ. 26 [illegible]

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება საერთო-სახალხო საქმეა. ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, ნათლად გამოიკვეთა საქართველოს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტების, მეცნიერების, ყველა მშრომელის უპირველესი ამოცანა — მიაღწიონ რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების, საქალაქო და რაიონული სპორტკომიტეტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აქტიურად ჩაებან ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში, უფრო ფართოდ დანერგონ ფიზკულტურა და სპორტი სოფლის მეურნეობის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მტკიცედ დარაზმონ რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიანი არმია პარტიისა და მთავრობის მიზანდასახულობათა განხორციელებისთვის.

**სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები**



# მეტი ყურადღება და მხარდაჭერა!

ერთ წელზე მეტი გავიდა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებიდან, რომელიც ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს მიეძღვნა. ეს არც ისე დიდი დროა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ძირფესვიანად გარდასაქმნელად, თუმცა რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ხელშესახებად გამოიკვეთა ის სასიკეთო ძვრები, რაც ამ მნიშვნელოვანი თავყრილობის შემდეგ მოხდა. აქტივის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები სამოქმედო პროგრამად გახადეს საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მათ შორისაა **ხობის სპორტკომიტეტი და „კოლმეურნის" რაისაბჭო.**

ჯერ კიდევ შარშან ჩატარდა რაიონის ფიზკულტურული აქტივის კრება, სადაც დაისახა რაიონში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი საქმიანობის შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამა. აღნიშნულ საკითხებზე იმსჯელეს საქართველოს კპ ხობის რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა. შარშანვე მოეწყო ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკების, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი. განხილულ იქნა ბევრი აქტუალური საკითხი, შემუშავდა ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი. ყოველივე ეს რაიონის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მზარდ წარმატებებში გამოიხატა. გასულ და მიმდინარე სპორტულ სეზონში კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ხობელ ფეხბურთელებს, ფრენბურთელებს, მოჭადრაკეებს და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს. საქართველოს მეორე ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში რაიონის სპორტსმენებმა მეშვიდე ადგილი დაიკავეს, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სოფლად; სისტემატურად იმართება შიდა საკოლექტივო სპარტაკიადები, ტურისტული ლაშქრობები, მშდ კომპლექსის მრავალჭიდის შეჯიბრებები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსწორების გზაზე დგას მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საქმე. ფიზკულტურის გაკვეთილი თანდათან იბრუნებს კუთვნილ ავტორიტეტს, ყველა სკოლაში სისტემატურად ტარდება დილის ტანვარჯიში. გარკვეული მუშაობა ჩატარდა სპორტული ბაზების ქსელის გასაფართოებლად: კეთილმოეწყო ცენტრალური სტადიონი, აშენდა ორი საცურაო აუზი; სპორტული კომპლექსები მოეწყო ხობის მე-2, ჭალადიდის, ჯაპიშაქრისა და ნოჯიხევის საშუალო სკოლებში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სპორტული ბაზებით ყველა სოფელი და სკოლა როდია უზრუნველყოფილი. ბევრგან საერთოდ არ გააჩნიათ სპორტული მოედნები. პირველი მაისის, შუა ხობის, ქარისტის, პატარა ფოთისა და საჯიჯაოს საშუალო სკოლების მესვეურებს დღემდე არ უზრუნიათ ღია მოედნების მოსაწყობად. რაიონის 33 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან მხოლოდ 14 სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი. სპორტული ბაზების მხრივ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მაინც ბავშვთა და მოზარდთა რაიონული სპორტსკოლაა.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებებია მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის საქმეში. მშრომელთა დიდი ნაწილი საერთოდ არაა ჩაბმული ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმებმა სოფლის მშრომელებს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახეს. მათ განხორციელებას კი მხოლოდ ფიზიკურად და სულიერად ძლიერი და ჯანსაღი ადამიანები შეძლებენ. ეს სიჯანსაღე და სიმტკიცე სწორედ ფიზკულტურასა და სპორტს მოაქვს. ამიტომ რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ფიზკულტურა და სპორტი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სოფლის მეურნეობის მშრომელთა დარაზმვის მძლავრი იარაღი გახდეს.

**ბ. აბრანატი,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის აღმზრდელობითი მუშაობისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.**

* * *

**სურათზე: ხობის „კოლხეთის" ფეხბურთელები სოფლის მშრომელებს თივის დამზადებაში ეხმარებიან.**

მ. თათარიშვილის ფოტო.

# იუნიორთა ბრინჯაოს მედლები

**ლვოვში** დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი ტყვიის სროლაში (ოლიმპიური ვარჯიშები). მანამდე აქ გაიმართა, იუნიორთა საკავშირო პირველობა, რომელშიც თბილისელმა **ვ. კოკორევმა** მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 50 მეტრზე სროლაში 555 ქულა მოაგროვა და ბრინჯაოს მედალი მოიგო. მანვე ამავე იარაღით 25 მეტრიდან სილუეტებზე ასპარეზობაში 590 ქულა აჩვენა და IV ადგილი დაიკავა. კოკორევმა მესამე ადგილი ამ ვარჯიშში ხელიდან მხოლოდ იმიტომ გაუშვა, რომ მეტოქესთან ბოლო სერია წააგო. მის გარდა გუნდში იყვნენ **ს. ერმაკოვი** (585 ქულა) და ს. სანაია (569). ამ ტრიომ საბოლოოდ 1744 ქულა მოაგროვა და გუნდური III ადგილი დაიკავა.

საქართველოს სპორტსმენებს გუნდური III ადგილი ერგოთ, აგრეთვე, „გაქცეულ ტახზე" სროლაში. ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი **ა. გოროდიანკინი** (მან გუნდს ჩათვლა ევროპის ჩემპიონატში მოპოვებული შედეგით — 567 ქულა მისცა), **კ. უბირია** (546) და **ს. ტერტერიანი** (544). გუნდის საბოლოო შედეგია 1657 ქულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში უკრაინის კოლექტივმა იმარჯვა, რომელმაც 110 ქულა მოაგროვა. საქართველოს ნაკრებმა VI ადგილზე გავიდა — 52 ქულა.

და აი, ლვოვის კეთილმოწყობილ სასროლეთზე ვაჟების ტურნირიც მიიწურა. „ტახზე" სროლა მოიგო უფელმა ი. სოკოლოვმა — 575. მცირეკალიბრიანი პისტოლეტის მრგვალ სამიზნეებზე სროლაში სვერდლოვსკელმა ვ. ვისოჩინმა და ოდესელმა ვ. ტოკარევმა თითოეულმა 593 ქულა აჩვენა. „ოქრო" ვისოჩინს ერგო. ბლაგოვეშჩენსკელი გ. ლუშჩიკოვი ჩემპიონი გახდა მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3X40) სროლაში — 1172 ქულა. ბოლო ოქროს მედალი გათამაშდა წოლელა მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 მეტრზე სროლაში. კიეველმა ვ. დაროშჩენკომ 600 შესაძლებლიდან მხოლოდ ორი ქულა დაკარგა და ერთი ქულით აჯობა ზაპოროჟიელ ა. პასტერნაკს.

# ექვსი ჩემპიონი

**ხარკოვში** დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირადგუნდური პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის. **ასპარეზობაში კარგად გამოვიდნენ საქართველოს „კოლმეურნის" წარმომადგენლები, რომლებმაც 14 კოლექტივთან ჭიდილში საერთო გუნდური IV ადგილი დაიკავეს.** ისინი მესამე პრიზიორს — ლიტვის ნაკრებს 27 ქულით ჩამორჩნენ. ეს არც ისე დიდი სხვაობაა თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდური ჩათვლა ცალკეული სპორტსმენების მიერ მოგროვებულ ქულათა საერთო ჯამით ხდებოდა. პირველ ადგილზე გავიდა უკრაინის ნაკრები, ხოლო მეორეზე — რსფსრ-ს კოლექტივი.

**საქართველოს სპორტსმენებმა პირად ტურნირში ექვსი გამარჯვება იზეიმეს.** გოგონათა შორის 100 და 200 მეტრზე რბენაში **მ. აზარაშვილმა,** რომელსაც **გ. გოზალიშვილი** ავარჯიშებს 2 ოქროს მედალი მოიგო. მან 100 მეტრზე 12,3 წამი აჩვენა. ხოლო 200 მეტრი 25,1 წამში გაირბინა და თავისი ასაკის გოგონების რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა.

ორგზის ჩემპიონი გახდა ახალციხელი მწვრთნელის **თ. ჯიშკარიანის** აღსაზრდელი **ი. ლევიტიც.** ამ ჭაბუკმა ჯერ 1500 მეტრზე წინაღობებით რბენა მოიგო — 4.31,5, ხოლო შემდეგ 3000 მეტრზე ასპარეზობაში იმარჯვა — 9.16,4.

ჯიშკარიანის კიდევ ერთმა აღსაზრდელმა — **ნ. ჭალიაშვილმა** ისახელა თავი. ამ გოგონამ ყველას აჯობა 1500 მეტრზე რბენაში — 4.39,4, 800 მეტრზე ასპარეზობის

**მძლეოსნობა**

ფინიშთან კი მეორე მივიდა — 2.14,8.

ჩემპიონი გახდა, აგრეთვე **მ. ხურცია** (**მწვრთნელი უ. ხაბანაძე**). მან გოგონათა შორის ბირთვის კვრა მოიგო — 13,10 მ.

მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს: გოგონათა შუბის ტყორცნაში **მ. ბუზალაშვილმა** — 37,18, რვაჭიდში — **თ. ქათამაძემ** — 4431 ქულა და გოგონათა 4X400 მეტრზე ესტაფეტაში. საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ **ე. გალუტვინა, ე. პალტარაკოვა, შ. ონიაშვილი** და **ზ. გუჩმაზოვა** ამ ასაკის გოგონების რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესეს — 4.00,2. გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა **მ. კარაკიანმა.**

**ქალაქი — სოფელს**

# საინტერესო შეხვედრები

**სსრ კავშირის** ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხები, ფიზიკური კულტურა მშრომელთა ყოფაში და სხვა მრავალი პრობლემა დგას ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინაშე, რომელთა გადაწყვეტაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ჩვენი სპორტის პროპაგანდისტებს ეკუთვნით.

ამ დიდი და გეგმაზომიერად წარმართული სამუშაოს ერთ რგოლს წარმოადგენდა ის საინტერესო შეხვედრები, რომლებიც ამ დღეებში ახმეტის რაიონის მოსახლეობასთან გამართა საქართველოს საზოგადოება „ცოდნამ" და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტმა.

პირველ დღეს ახმეტის კლუბში თავი მოიყარა ახალგაზრდობამ, რომლის წინაშეც წარდგნენ დოცენტები ა. ციბაძე (ლექციით „მოსკოვი — 80"), ბ. თევზაძე („ფიზიკური კულტურა, როგორც აქტიური დღეგრძელობის წყარო"), საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ნ. ოქროპირიძე („ბავშვთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის საკითხები საბავშვო ბაღებსა და სკოლებში"), საზოგადოება „ცოდნის" რეფერენტი ვ. ჭანტურია და ახმეტის პარტრაიკომის მდივანი ვ. შიომღვდლიშვილი.

ნაჩვენები იქნა სპორტული კინოფილმები.

მეორე დღეს სტუმრები სოფელ ქისტაურს ეწვივნენ და ანალოგიური საღამო გამართეს სოფლის მშრომელებთან და რაიონის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელებთან.

ამ საქმიანმა, სასარგებლო შეხვედრებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ახმეტის რაიონის მშრომელებში.

**ა. ბაშელი.**






## სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა — ჩვენი მთავარი მიზანი

●

# ფინიში ბოდორნასთან

**საქართველოს** სპორტსმენებს ტრეკზე ველორბოლაში სხვადასხვა დროს ჰქონდათ წარმატებები, რომელთა ზენიტზე სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე ავიდა, როცა მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ჩვენს რესპუბლიკაში ახლაც არის რამდენიმე ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა, მათ იმედით შევყურებთ.

სამწუხაროდ, საგზატკეცილო ველორბოლაზე ამას ვერ ვიტყვით — ამ სახეობაში მომუშავე მწვრთნელებმა აქამდე ერთი საერთაშორისო კლასის სპორტსმენიც ვერ მოამზადეს, ვერ აღზარდეს ველოსიპედისტი, რომელიც ქვეყნის ნაკრებში დაიკავებდა ადგილს.

მიზეზთა ძიებას ერთ დასკვნამდე მივყავართ — ეს გახლავთ აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაცია, მოძველებული მეთოდებით მუშაობა, ძიებისადმი გულგრილობა. მწვრთნელები (ისინი საკმაოდ არიან) ახალგაზრდებს საგზატკეცილო ველორბოლისადმი სიყვარულს ვერ უნერგავენ. ამიტომაც არის, რომ მეტნაკლებად ძლიერნი, როგორც კი თბილისში აღმოჩნდებიან, ამპლუას იცვლიან და ტრეკზე რბოლაში ვარჯიშს არჩევენ.

ხშირად იმიზეზებენ: თბილისის გზატკეცილების უსაშველოდ გადატვირთვის გამო წვრთნას ვერ ვახერხებთო. მაგრამ განა ჩვენი ქვეყნის სხვა უფრო დიდი ქალაქებში ნაკლები ტრანსპორტია? მაშ როგორღა ზრდიან იქ საერთაშორისო კლასის ოსტატებს, დიდი საერთაშორისო ტურნირების, მსოფლიო პირველობების ჩემპიონებსა და პრიზიორებს?

— საგზატკეცილო ველორბოლის განვითარება თბილისში ყველაზე მეტად ჩამორჩება. აქაური მწვრთნელები ,უფრო ნაკლები რაოდენობის სპორტსმენებს ზრდიან, ვიდრე პერიფერიების სექციები. წლევანდელი რესპუბლიკური საუწყებო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის მხოლოდ 20 პროცენტამდე თუ იყო თბილისელი, — გვეუბნება საქართველოს სპორტკომიტეტის ველოსიპედისტთა მთავარი მწვრთნელი **შ. საგარეიშვილი.**

მასთან საუბარში გაირკვა, რომ არც ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებს, არც უწყებებს თბილისში ამ მიმართებით მუშაობა სათანადოდ არა აქვთ გაშლილი და რესპუბლიკურ ტურნირებში რაიონებიდან, სხვა ქალაქებიდან მოგროვებული სპორტსმენებით ფონს გასვლას ახერხებენ. მაგალითად „განთიადი" ავიღოთ. ამ გუნდის ძირითადი ბირთვი რუსთავში მომუშავე ორიოდე მწვრთნელის აღზრდილები არიან. ასეთივე მდგომარეობაა „სპარტაკში", „შრომით რეზერვებსა" და „ლოკომოტივს" კი არც პერიფერიებში აქვთ საქმე კარგად, ამიტომაც საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც რუსთავსა და საქართველოს სამხედრო გზაზე ოთხ დღეს გაგრძელდა, ისინი ბოლო ადგილებს დასჯერდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად ის ფაქტიც ლაპარაკობს, რომ კრიტერიუმში, რომელიც რუსთავში, საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ბაზის წრიულ გზატკეცილზე 75 კილომეტრზე შვიდი საშუალედო ფინიშით გაიმართა, ჩათვლა 6 ველოსიპედისტმა მიიღო (59-დან).

საგზატკეცილო რბოლაში საერთო ტემპებს საქართველოს გუნდები ძალიან რომ ჩამორჩებიან, შარშანდელმა .საკავშირო ახალგაზრდულმა თამაშებმაც დაგვანახა: გუნდურ რბოლაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა საქართველოს რეკორდი 6 წუთით გააუმჯობესეს, მაგრამ XV ადგილს ვერ აცდნენ.

— **სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე გზატკეცილზე მოასპარეზეთა პროგრამაში ჯგუფური და გუნდური რბოლებია, რა პერსპექტივა გვაქვს? — ვეკითხებით საგარეიშვილს.**

— პერსპექტივაზე ლაპარაკი სწორედ რომ მიჭირს, რადგან ეს საკითხი რესპუბლიკის არცერთ სპორტსაზოგადოებაში, არცერთ უწყებაში არ აწუხებთ, და არაფერს აკეთებენ იმისთვის რომ აღზარდონ ისეთი ველოსიპედისტები, რომლებიც სასპარტაკიადო სახეობებში სპორტის ოსტატის ნორმატივს შეასრულებენ. — გვიპასუხა მან.

მართლაც, საქართველოს ჩემპიონატში 75 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში (საკავშირო სპარტაკიადაზე ეს დისტანცია გაცილებით გრძელი იქნება) სპორტსმენები II თანრიგის ნორმატივს ძლივს აცდნენ. კრიტერიუმი კი მოიგო... ტრეკზე რბოლაში სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, თბილისის დინამოელმა პ. ჩევარდოვმა, რომელმაც სამ უკანასკნელ საშუალედო ფინიშზე გამარჯვებით ჩემპიონობა დაისაკუთრა.

ამ სახეობაში თავიდან გ. ჯინჭარაძე დაწინაურდა, როცა პირველი საშუალედო ფინიშის მოგებით 5 ქულა მიიღო, მაგრამ ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი წარმატება (რბოლას ბოლომდე ვერ გაუძლო). მესამე საშუალედო ფინიშთან ყველას აჯობა რუსთაველმა მოსწავლემ ვ. შეყილაძემ („განთიადი") და ლიდერი გახდა. მან ეს უპირატესობა ბოლო საშუალედო ფინიშამდე შეინარჩუნა. გადამწყვეტი ცდის წინ შეყილაძეს 15 ქულა ჰქონდა, ჩევარდოვს — 12.

ბოლო საშუალედო ფინიშზე ქულები ორმაგდება. დინამოელმა აქ ბრძოლა ტაქტიკურად სწორად წარმართა და ჩემპიონიც გახდა. შეყილაძე II ადგილზე დარჩა. ამ მეცხრეკლასელი ჭაბუკის სასახელოდ უნდა ითქვას რომ მისი სახით იზრდება უდაოდ ნიჭიერი ველოსიპედისტი.

50 კილომეტრზე გუნდური რბოლა ნატახტრის მიდამოებში გაიმართა. თავიდან „კოლმეურნის" პირველმა ნაკრებმა (საზოგადოებებს ორ-ორი გუნდი გამოჰყავდათ), რომლის შემადგენლობაში იყვნენ ი. რთველიაშვილი, ა. ცხოვრებაძე, ა. დანელიანი და ა. ალპატოვი, ხელთ იგდო ლიდერობა და შუა დისტანციაზე უახლოეს მეტოქეს, „დინამოს" პირველ გუნდს ნახევარ წუთს უგებდა — 34.20, ხოლო „განთიადის" პირველ კვარტეტს — 50 წამს, მაგრამ ტრასის II ნახევარზე „კოლმეურნემ" მესამე ადგილზე გადაინაცვლა — 1:09.13.

ბოლო დღე ჯგუფურ რბოლას დაეთმო. იმის გამო, რომ ავტოინსპექციამ, რომელსაც მონაწილეთა უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა, შეჯიბრების ადგილზე დაიგვიანა, ასპარეზობა შუადღისას დაიწყო, რამაც ბრძოლა კიდევ უფრო გააძნელა. ფინიში სოფ. ბოდორნასთან მოეწყო. აღმართის თავში გამართულ საკონტროლო ხაზთან პირველი მიიჭრა ა. ცხოვრებაძე („კოლმეურნე").

— შედეგებს უარყოფითი დაღი დაასვა თაკარა სიცხემ, რბოლა კი არა, სუნთქვა ჭირდა, — თავს იმართლებდნენ მწვრთნელები. იმ დღეებში რუსთავისა და ნატახტრის მიდამოებში მართლაც ძლიერ ცხელოდა. მით უმეტეს, რომ სტარტები 11 საათის შემდეგ შედგა, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ დისტანციები სტანდარტულზე (იგულისხმება ხალხთა სპარტაკიადის ტრასები) მოკლე იყო?

არა! ჩვენი ველოსიპედისტების მომზადება გზატკეცილზე ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას! თუ ამ ჩემპიონატიდან ყველამ სათანადო დასკვნები არ გამოიტანა, თუ ჩვენი მწვრთნელები, სპორტსმენები, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები როგორც ერთი არ დაირაზმა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამდე დარჩენილი 12 თვის მაქსიმალურად გამოყენებისთვის, ამ სახეობაში გაისად საკავშირო სტარტებიდან ხელმოცარულნი დავბრუნდებით.

**ტექნიკური შედეგები 50 კმ გუნდური რბოლა.** „დინამო I" (პ. ჩევარდოვი, ე. ჯიქია, შ. კოშელიანი, მ. მანუშაროვი) — 1:07.50, „განთიადი I" — 1:09.03, „კოლმეურნე I" — 1:09.13. ორი ნაკრების ჯამში (საზოგადოებებს 2-2 კოლექტივი გამოჰყავდათ). „კოლმეურნე" — 52 ქულა (III და VI ადგილები), „განთიადი" — 52 (II და VII), „სპარტაკი" — 40 (IV და VIII); **კრიტერიუმი.** პ. ჩევარდოვი („დინამო") — 22 ქულა, ვ. შეყილაძე („განთიადი") — 19, ი. ზიმენკოვი („შრომითი რეზერვები") — 15; **75 კმ ჯგუფური რბოლა.** ა. ცხოვრებაძე („კოლმეურნე") — 1:46.40, ლ. პირუმიანი („სპარტაკი") — 1:46.41, მ. კოშელიანი („დინამო") — 1:46.42.

**საერთო გუნდური.** „კოლმეურნე" — 148 ქულა, „განთიადი" — 139, „სპარტაკი" — 109, „დინამო" — 107, „შრომითი რეზერვები" — 71, „ლოკომოტივი" — 8.

**ო. ივლოშვილი.**

• • •

**სურათებზე: 75 კილომეტრზე ჯგუფური რბოლის მომენტი; ტრასაზე არიან კრიტერიუმის მონაწილენი.**

**ი. ხუცურაულის ფოტოები.**



# ...და მასთან ერთად „დღეგრძელობა"

**რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის გაწეული ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისთვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი აკაკი დოკვაძე დაჯილდოვდა საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით.**

●

**მეორე** სემესტრი ახალი დაწყებული იყო, რომ ჯგუფში ხმა გავარდა — ჩვენი ფაკულტეტის დეკანი გადაურჩევიათ და ვიღაც დოცენტი დაუნიშნავთო, დიდი ავგაროზი ვინმე ყოფილა, ლექციას უმიზეზოდ გააცდენ და გარიცხვის ბრძანებას ზედვე მოგაყოლებსო.

მაშინ უკვე მესამე კურსზე ვიყავი და გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ლექციებზე სიარულით თავს მაინცდამაინც არ ვიწუხებდი — კვირაში ერთ-ორჯერ თუ დაველანდებოდი ლექტორებს. უმრავლესობა ასე იქცეოდა, ვის როგორ მოეპრიანებოდა, ისე დადიოდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, სწავლით ცუდად როდი ვსწავლობდით. ოღონდ ეს იყო, დისციპლინაში მოვიკოჭლებდით, არც დიდი რიდი და შიში გვქონდა ვინმესი, დეკანიც ხმას არ იღებდა და აბა სტუდენტს მეტი რა უნდა.

ამიტომ, „ახალი კაცის" მოსვლა ვერაფერი კარგი ამბავი იყო ჩვენთვის, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას უფრო ჰგავდა.

არ გასულა დიდი ხანი და საშუალო ტანის, თმაშევერცხლილი კაცი გამოგვეცხადა, პრორექტორი ახლდა თან. საერთო ლექცია გვქონდა და მთელი კურსის სტუდენტები ერთ აუდიტორიაში ვიყავით თავმოყრილნი.

— აკაკი დოკვაძე, პედაგოგიური ფაკულტეტის ახალი დეკანი, — წარმოგვიდგინა პრორექტორმა.

დეკანი კი პირდაპირ „საქმეზე გადავიდა". ჯერ სტუდენტის მორალური კოდექსის „საკუთარი ვარიანტი" გაგვაცნო (თითოეულ პედაგოგს ხომ აღსაზრდელებთან ურთიერთობის თავისებური მეთოდები აქვს შემუშავებული), შემდეგ ერთი მაგრად დაგვიცაცხანა: ვაი იმის ბრალი, ვინც ლექციას გააცდენს ან დისციპლინას დაარღვევს, ამას ვუზამ, იმას ვუზამო. მთელი ნახევარი საათი არ გაჩუმებულა: ხან გაცხარდებოდა, ხან კიდევ მორიდებით გვეკურკურებოდა (რატომღაც იმთავითვე მეგონა, რომ ამ კაცს დიდი და კეთილი გული ჰქონდა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი შემდგომი ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ ამის დასტური იყო), ბოლოს ჯგუფების ჟურნალები მოითხოვა. პირველად მაინცდამაინც ჩვენსას დაადგა თვალი.

— კვირკველია აქ არის?

ეს კვირკველია დიდი თავნება ვინმე იყო. დაადებდა თავს და ბზობის ყვავილით გადაიკარგებოდა, სესიის დროს თუ იყო ადგილზე.

— აქ ვარ, პატივცემულო! — მოისმა ბოლო რიგიდან.

გამიკვირდა, ამას რა ღმერთი გაუწყრა, პირველ ლექციაზე რამ მოიყვანა-მეთქი.

— რატომ აცდენ, ბიჭო, ლექციებს! — სიმკაცრემ იმატა დეკანის ხმაში.

— ?!

— იცოდე, სასტიკად დაგსჯი და საწყენად ნუ დაგრჩება.

— ?!

— ხმა ამოიღე, ბიჭო! — ახლა კი გაცხარდა დეკანი, — სტიპენდიას მოგიხსნი და მერე მოხვალ ჭკუაზე.

— არა მაქვს და..., — როგორც იქნა ამოილუღლუღა კვირკველიამ.

— არა გაქვს? ძალიანაც კარგი, დაგენიშნავ და მოგიხსნი!

აუდიტორიაში მორიდებული სიცილი გაისმა.

...აი, ასე გავიცანით მესამეკურსელებმა აკაკი დოკვაძე, „ჩვენი კარგი დეკანი", როგორც მას შემდეგ ვუწოდებდით. ასეთად დარჩა იგი ჩემს მეხსიერებაში, სიყვარულითა და იუმორით, უშუალობითა და სიკეთით აღსავსე.

აკაკი დოკვაძე — ეს სახელი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობისთვის განმარტებას არ საჭიროებს: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, მშრ კომპლექსის რესპუბლიკური ინსპექციის თავმჯდომარე, მრავალი სამეცნიერო შრომის, წიგნისა და ბროშურის ავტორი... ყველა სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

• • •

იგი მაღალმთიან რაჭაში დაიბადა, ონის რაიონის სოფელ ჟაშქვაში. ათიოდე წლისა თუ იქნებოდა, სპორტს რომ დაუკავშირდა — ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებას დაესწრო და მოეწონა. მოწონებას სიყვარული მოყვა. მალე სხვა სიყვარულიც შეეპარა — რადიო, ტექნიკაზე გადაირია. სპორტის სიყვარულმა გადაძალა. ეს შედარებით გვიან მოხდა, მანამდე კი ორჭოფობდა, არც სპორტს ანებებდა თავს, არც რადიოს. თბილისში რომ ჩამოვიდა, კავშირგაბმულობის ტექნიკუმს მიაშურა, ერთხანს სტუდქალაქის რადიოკვანძს ხელმძღვანელობდა. თბილისში ფიზკულტურის ინსტიტუტი გაიხსნა თუ არა, იქ გააგრძელა სწავლა. შემდეგ



ომი დაიწყო და ჯერ კიდევ უწვერულვაშო ჭაბუკი რადიოსახელოსნოების გამგედ დანიშნეს, შემდეგ კი საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსად დააწინაურეს. ა. დოკვაძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა სპორტსაზოგადოება „ელვასა" და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარედ, სათავეში ედგა „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოს. შემდეგ კი სამეცნიერო საქმიანობას მიჰყო ხელი.

დღეს აკაკი დოკვაძეს 60 წელი შეუსრულდა. გუშინწინ სახლში ვეწვიე, იუბილე მივულოცე და გაზეთისთვის „პატარა ცნობა" ვთხოვე. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: თუ კაცი ხარ, მაგას ნუ იზამ, ისეთი არაფერი გამიკეთებია, ქვეყანამ რომ გაიგოსო. როცა დარწმუნდა, ასე ილოლად არ მოვეშვებოდი, მოლბა: მაშინ ახლა რასაც გეტყვი, ის ჩაიწერე სიტყვასიტყვითო და მიკარნახა: „ერთი ჩვეულებრივი კაცი, კაკო დოკვაძე 60 წლისა გახდა, მაგრამ თავს დღესაც ჩიტივით გრძნობს. რატომ? ფიზკულტურასა და სპორტთან მეგობრობს და იმიტომ. ალიონის ზარი რომ ჩამოჰკრავს, სპორტულ კოსტუმში გამოწყობილი მთაწმინდის პლატოსკენ მირბის „ძუნძულით". მუხლს გამართავს, ხორცს გამოაცოცხლებს, სუფთა ჰაერს ჩაყლაპავს.ასეა ყოველდღე. ჯერ ეულად დარბოდა, შემდეგ „ტოლ-ბიჭებმაც" მიბაძეს და მალე მთელი „გუნდი" შემოიკრიბა. ამ გუნდს „დღეგრძელობა" ჰქვია და მისი კარები მუდამ ღიაა ყველასათვის".

• • •

დამავიწყდა ზემოთ მეთქვა, რომ ახალ დეკანთან გაცნობის დღიდან ჯგუფში ჰარიჰარაზე არავის გაუცდენია ლექცია, იმ კვირკველიასაც კი. გაცდენა რომელია, კვირკველია თითით საჩვენებელი სტუდენტი გახდა და ინსტიტუტის დამთავრებამდე ყოველთვიურად იღებდა... სტიპენდიას.

**ე. ბერიშვილი.**

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-17 ტურის ტექნიკური მონაცემები:

„სპარტაკი“ — „ტორპედო“ 0:1. გოლი 39-ე წუთზე გაიტანა კრუგლოვმა.

დუბლიორები — 2:1.

„ფახთაქორი“ — „ქაირათი“ 1:0. ტაშკენტელებს გამარჯვება მოუტანა ანის მიერ პირველ ტაიმში გატანილმა ბურთმა. გაფრთხილებულია ანი. გაფრთხილებული იქნა, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გააძევეს ალმაათელი ალტუხოვი.

დუბლიორები — 0:0.

„ზენიტი“ — „დინამო“ კ. 1:0. კიეველთა კარში გოლი 47-ე წუთზე გაიტანა რედკოუსმა. გაფრთხილებულია კიეველი ბლოხინი.

დუბლიორები — 1:0.

„ნეფთჩი“ — „არარატი“ 2:0. ორივე ბურთი ერევნელთა კარში გატანილი იქნა შესვენებამდე ტ. და ე. აბასოვების მიერ.

დუბლიორები — 0:0.

„დნეპრი“ — „შახტიორი“ 1:2. 35-ე წუთზე დაწინაურდა „დნეპრი“ (სამოილენკო). გოლი 3 წუთის შემდეგ გაქვითა რეზნიკმა, ხოლო მეორე ტაიმში სოკოლოვსკიმ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში.

დუბლიორები — 1:3.

„ზარია“ — „დინამო“ მ. 0:1. გოლი „ზარიას“ კარში მე-12 წუთზე გაიტანა კოლესოვმა.

დუბლიორები — 0:6.

* * *

ქუთაისის ტორპედოელებმა ივანო-ფრანკოვსკში ფრედ ითამაშეს „სპარტაკთან“ — 0:0.

„სპარტაკი“: ბელეი, ხინელნიკი, ნიკიტიუკი, კრუპეი, კოპიტჩაკი, კუშლიკი, პოკორა (მელნიჩენკო), მუკომელოვი, პრისტაი, პოლპალიუკი, პოგორელკო (ციკოტი).

„ტორპედო“: მჭედლიძე, სვანაძე (ფოფხაძე), თევზაძე, მელიქია, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ებანოიძე, ქვირია, ფესტვენიძე, ძებისაშვილი (ბურკაძე), ხუცურაული (ცვაჭანტირაძე).

მსაჯი ხ. სტროევი (მინსკი).

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ქუთაისელებმა — 4:1.

* * *

II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების — სტეფანაკერტის „ყარაბახისა“ და სამტრედიის „ლოკომოტივის“ კალენდარული მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

## ფეხბურთი

### უმაღლესი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 9 | 7 | 1 | 25—11 | 25 |
| „დინამო“ თბ. | 17 | 11 | 2 | 4 | 23—8 | 24 |
| „ნეფთჩი“ | 17 | 9 | 6 | 2 | 21—15 | 24 |
| „დინამო“ მ. | 16 | 8 | 4 | 4 | 23—13 | 20 |
| „დინამო“ კ. | 17 | 8 | 4 | 5 | 22—18 | 20 |
| „არარატი“ | 17 | 6 | 8 | 3 | 25—14 | 20 |
| „ჩერნომორ“. | 17 | 8 | 3 | 6 | 17—19 | 19 |
| „შახტიორი“ | 16 | 7 | 4 | 5 | 19—14 | 18 |
| „ფახთაქორი“ | 17 | 5 | 6 | 6 | 15—18 | 16 |
| „სპარტაკი“ | 17 | 5 | 5 | 7 | 14—15 | 15 |
| „ტორპედო“ | 17 | 5 | 3 | 9 | 22—20 | 13 |
| „ლოკომოტ“. | 16 | 4 | 4 | 8 | 13—26 | 12 |
| „ქაირათი“ | 17 | 3 | 5 | 9 | 15—23 | 11 |
| „ზენიტი“ | 15 | 3 | 5 | 7 | 10—21 | 11 |
| „ზარია“ | 16 | 3 | 4 | 9 | 16—35 | 10 |
| „დნეპრი“ | 17 | 0 | 8 | 9 | 11—21 | 8 |

### მეორე ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა“ | 24 | 14 | 4 | 6 | 37—16 | 32 |
| „შირაკი“ | 24 | 11 | 8 | 5 | 43—26 | 30 |
| „კოტაიკი“ | 24 | 12 | 3 | 9 | 31—32 | 27 |
| „ტორპედო“ | 24 | 10 | 7 | 7 | 29—21 | 27 |
| „ავტომობ“. | 24 | 12 | 2 | 10 | 30—32 | 26 |
| „გურია“ | 24 | 10 | 6 | 8 | 33—28 | 26 |
| „რუბინი“ | 24 | 10 | 6 | 8 | 30—25 | 26 |
| „დინ“. ზ. | 24 | 9 | 8 | 7 | 30—22 | 26 |
| „ზენიტი“ | 24 | 8 | 10 | 6 | 27—21 | 26 |
| „დრუჟბა“ | 24 | 11 | 3 | 10 | 31—22 | 25 |
| „ტურბ“. | 24 | 11 | 3 | 10 | 26—32 | 25 |
| „გაზოვ“. | 24 | 10 | 5 | 9 | 31—25 | 25 |
| „ყარაბ“. | 24 | 9 | 7 | 8 | 29—23 | 25 |
| „დინ“. ბ. | 24 | 9 | 6 | 9 | 25—23 | 24 |
| ფიზკ. ინსტ. | 24 | 8 | 8 | 8 | 23—21 | 24 |
| „დინ“ კრ. | 24 | 10 | 3 | 11 | 29—27 | 23 |
| „გასტ“. | 24 | 10 | 3 | 11 | 25—31 | 23 |
| პროგრ“. | 24 | 10 | 3 | 11 | 24—33 | 23 |
| „ლოკომოტ“. | 24 | 9 | 5 | 10 | 35—38 | 23 |
| „ურალ“. | 24 | 9 | 5 | 10 | 29—31 | 23 |
| „დინ“. ხ. | 24 | 8 | 6 | 10 | 34—38 | 22 |
| „დილა“ | 24 | 5 | 11 | 8 | 24—26 | 21 |
| „ხაზარი“ | 24 | 6 | 4 | 14 | 20—40 | 16 |
| „არაზი“ | 24 | 2 | 4 | 18 | 16—58 | 8 |

## ფინალში გავიდნენ

ამ დღეებში ... დამთავრდა III საკავშირო საზაფხულო სასოფლო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, ლიტვის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და ბელორუსიის ნაკრები კოლექტივები.

საქართველოს ფეხბურთელებმა მოიგეს ყველა შეხვედრა და 8 ქულით დაიკავეს I ადგილი. მეორე ადგილზეა ლიტვის კოლექტივი.

ეს ორი გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფინალურ ასპარეზობაში, რომელიც ჩატარდება მოლდავეთის ქალაქ ბელცში.

●

### სპორტულ გაზეგზე

ფეხბურთი საქართველოს თასი. 26 ივლისი. ასკ-ს სტადიონი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი). დასაწყისი 18 ს. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. „ჯანმრთელობა“ (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა). 18 ს.

# გუნდი სახელით იწყება

## სარედაქციო ფოსტა

საკითხი, რომლის თაობაზე დღეს გვინდა გესაუბროთ, არცთუ დიდი ხნის წინათ ფართოდ იხილებოდა ჩვენს პრესაში და იმდენად სავალალო შედეგი გამოიღო, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავიხსენებდით ხელმეორედ ამა წლის 6 ივნისის „ლელოში“ რომ არ გამოქვეყნებულიყო ფეხბურთის გულშემატკივრის მ. მამულაშვილის წერილი სათაურით: „სპორტულ გუნდებს — შესაფერისი სახელწოდება“.

უდავოდ მისასალმებელია ავტორის განზრახვა — გაამახვილოს ფართო სპორტული აუდიტორიის ყურადღება ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტად სადღეისო პრობლემაზე, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ასეთი საპასუხისმგებლო საქმეს შიშველი ენთუზიაზმი ვერ უშველის და რაკი გვსურს პროგრესული იდეის განხორციელება, დაბეჯითებითაც უნდა განვმარტოთ, თუ სახელდობრ რით არის გამართლებული ესა თუ ის ცვლილება და საკუთარ მოსაზრებათა სამართლიანობა დავასაბუთოდ მტკიცე არგუმენტებით. თუ კი ამის ძალა არ შეგვწევს, იმას მაინც უნდა ვეცადოთ, რომ მარტივი შეცდომები ავიცილოთ თავიდან (ავტორს თელავის გუნდის სახელწოდება დღეისთვის „კახეთი“ მიაჩნია და არა „ნადიკვარი“ ერევნის „არარატს“ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ წევრად მიიჩნევს და ა. შ.).

რაკიღა გუნდების სახელწოდებებზე ვმსჯელობთ, უკან უნდა დავიხიოთ და ჩვენი საუკუნის ოციანი წლების საფეხბურთო ცხოვრებას გადავხედოთ. მოგეხსენებათ, ეს ის წლები იყო, როცა ბრიტანეთიდან ექსპორტირებული სპორტული სანახაობა პირველ ნაბიჯებს დგამდა ჩვენს ქვეყანაში. სწორედ ამ პერიოდში ხდებოდა საბჭოთა ფეხბურთის ჩასახვა და ყველა სახეობის გულშემატკივართა და სპორტსმენთა გულისყურს თავისკენ იპყრობდა. ცხადია, ახალბედა არასოდეს წყვეტს ციდან ვარსკვლავებს და არც ჰქონიათ განსაკუთრებული პრეტენზიები იმათ, ვისაც წილად ხვდათ ამ უჩვეულო ლამაზი სპორტული თამაშის პიონერობა, თანაც ფეხბურთის მაშინდელ წესებს თუ გავიხსენებთ, უთუოდ ვინიშნებთ ბევრ ისეთ მოვლენას, რამაც დღეს მხოლოდ ღიმილი შეიძლება მოგვგვაროს: მაგალითად, მეკარე ერთთავად კარზე იყო მიჯაჭვული და თითქმის არ სცილდებოდა ხაზზს; განათების უქონლობის გამო მატჩი შეიძლება შეწყვეტილიყო დაბინდებისთანავე. მაყურებელთა მომზადების დონეც ისეთ სიმაღლეზე იდგა, რომ საკმაოდ გათვითცნობიერებულ გულშემატკივარსაც კი შეეძლო დაეჯერებინა თითქოს „სასიკვდილო ძალის“ დარტყმის მქონე ფეხბურთელს მარჯვენა ფეხით ბურთის დარტყმა აკრძალული ჰქონდა.

აი, ამ წლებში და ამგვარ ვითარებაში ჩამოყალიბდნენ პირველი კოლექტივები და რა გასაკვირია, რომ ფეხბურთის განვითარების ამ დონეს სახელწოდებებიც შეესაბამებოდა. ასე გაჩნდნენ ქვეყნად — „დინამოები“ (მოსკოვის — 1923 წელს, თბილისის — 1925 წელს, კიევის — 1927-ში), „ზენიტები“ (ლენინგრადში — 1931 წელს), „ლოკომოტივები“ (მოსკოვში — 1936 წელს) და მისთანანი... რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა ამ გუნდებისთვის გვესაყვედურებინა ასეთი სახელების არჩევა. მაშინ ჩვენს ფეხბურთში სულ სხვა პრობლემები იდგა — კერძოდ, საფეხბურთო კოდექსის ანბანის ათვისება, მსოფლიოს მოწინავე საფეხბურთო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, ბრძოლისუნარიანი, მონოლითური კოლექტივების შექმნა და ფეხბურთის მესვეურებს, დაგვეთანხმებით, ყველაზე ნაკლებად გუნდების სახელწოდება აღელვებდათ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, სამამულო და მსოფლიო ფეხბურთმა განვითარების დიდი გზა გამოიარა, გავრცელდა მისი გეოგრაფია და ჩვეულებრივ ამბად იქცა მატჩები საერთაშორისო დონეზე. დღეს თითოეული გუნდი მხოლოდ იმისთვის კი არ ზრუნავს, რომ გამოირჩეოდეს საკუთარი თამაშის სტილითა და დამახასიათებელი ხელწერით, — არამედ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგან სახესაც — აქვს საკუთარი საკლუბო ფორმა, საკუთარი ემბლემა და რაღა თქმა უნდა, საკუთარი, სათუთად შერჩეული სახელი...

და აი, საფეხბურთო ცხოვრების ამ ეტაპზე რესპუბლიკის უპირველეს გუნდს სახელად „დინამო“ ჰქვია, რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, ბერძნულად „ძალას“ ნიშნავს და არაფრით გამოირჩევა, ჩვენი ქვეყნისაზე რომ არაფერი ვთქვათ, ზაგრების, დრეზდენის, ბუქარესტის, ბერლინის „დინამოებისაგან“. რა არის ეს, შემთხვევითობა თუ კანონზომიერება? აღმოჩნდა, რომ უფრო სხვა ყოფილა — ტრადიციისადმი ერთგულება! გუნდის სახელწოდება მათი გარკვეული ნაწილისთვის ისეთ ავგაროზად იქცა, რომ თავი დაჯერეს — უამისოდ შეიძლება კოლექტივი ავს რასმე გადაეყაროს და სახელთან ერთად ტრადიციებიც დაკარგოსო.

ჰოდა, თუ მართლა ტრადიციებზეა საქმე, ყველაზე მეტად ხომ ვეტერანი ფეხბურთელისთვის უნდა იყოს ის ძვირფასი, ფეხბურთელისთვის, ვისაც თავისი დიდი წვლილი შეუტანია გუნდის ისტორიის შექმნის საქმეში და აი, ამ „ტრადიციულ“ სახელს ადვილად შეელია ყველა ქართველი გულშემატკივრის კერპი მიხეილ მესხი და ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებიდან აქტიურად დაუჭირა მხარი „დინამოს“ გადარქმევას „იბერიად“, შესანიშნავი სპორტსმენის ეს წინადადება ქართველ ფეხბურთელთა ყველა წინა თაობის კეთილ ნებად შეგვეძლო მიგვეღო, მაგრამ რა გამოვიდა? სიტყვა იგი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ — „დინამოს“ დღევანდელმა ხელმძღვანელობამ და მოთამაშეებმა სრული ინდიფერენტულობა გამოამჟღავნეს და გუნდის დღევანდელ სახელწოდებას მიანიჭეს უპირატესობა..

გავიხსენოთ, რომ მარტო ლონდონის „არსენალმა“ თავისი პირვანდელი სახელწოდება სამჯერ შეცვალა და მას გარდა, ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ გუნდებსაც შეუცვლიათ სახელები, როგორებიცაა „მანჩესტერ იუნაიტედი“, მილანის „ინტერნაციონალე“, „ტოტენჰემ ჰოტსპური“, „რეიმსი“, და მრავალი სხვა. ჩვენ როდემდელა ველოდოთ „განგების ნებას“? თანაც სულ არ გვჭირდება შორს წასვლა და აქვე, რესპუბლიკაშივე გვყავს უამრავი გუნდი საკმაოდ ლაზათიანი სახელი რომ ჰქვია. რით არ დამშვენდებოდა, მაგალითად, ჩვენს უპირველეს გუნდს სახელწოდებები, რომლებიც ხაშურის, ასპინძისა თუ ოჩამჩირის გუნდებს ჰქვიათ — შესაბამისად: „ივერია“, „ვარძია“ და „ამირანი“. ცოტა საჩოთირო ხომ არ არის შინაურ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს გემოვნებით შერჩეული სახელები ერქვათ და საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე რესპუბლიკის ღირსების დამცველ გუნდს კი ათადან-ბაბადან შემორჩენილი „დინამო“? (როცა თბილისის რეგბისტების გუნდს ბოლოს და ბოლოს ნორმალური სახელი „ივერია“ დაერქვა, უეცრად კოლექტივს ახალი შეფები გამოუჩნდნენ და სახელი თავისი სურვილისამებრ გადაარქვეს. რატომ გვგონია, რომ ამა თუ იმ გუნდს აუცილებლად საკუთარი სპორტსაზოგადოების სახელი უნდა ერქვას? კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — ექუთვნის „ტრუდს“, ერევნის „არარატი“ „აშხატანაკს“, ვოროშილოვგრადის „ზარია“, ლვოვის „კარპატი“ და დონეცკის „შახტიორი“ — „ავანგარდს“, ოდესის „ჩერნომორეცი“ — „ვოდნიკს“, ალმა-ათის „ქაირათი“ — „ლოკომოტივს“...).

ავიღოთ ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდის სახელწოდება — „ტორპედო“. ორი აზრი არ არსებობს, ავტოქარხნელებმა ეს სახელწოდება ბრმად გადმოიღეს მოსკოველი კოლეგებისგან, რომელთა გუნდსაც „ტორპედო“ 1931 წლიდან ეწოდება... ისე კი, როგორც საფეხბურთო ცნობარები მიუთითებენ, ქუთაისელი ფეხბურთელები სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრები უნდა იყვნენ და აბა დავუფიქრდეთ, განა თვით „განთიადი“ არ ჟღერს „ტორპედოზე“ კარგად? რაღა თქმა უნდა, არც იმ სახელწოდებებზე ვიტყოდით უარს, რომლებსაც მ. მამულაშვილი გვთავაზობს და დავუმატებდით კიდეც — განა რით დაიწუნება მაგალითად „გელათი“, „რიონი“, „ფაზისი“, „არგვეთი“ და სხვა, მაგრამ გამოტეხილად რომ ვთქვათ, გულშემატკივრებს ისევ „კოლხეთი“ გვირჩევნია, რადგან ჯერ ერთი — საკავშირო მასშტაბით ამაღლდება ქუთაისის ავტოქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის ავტორიტეტი, ვინაიდან სახელწოდებათა ინდენტურობის გამო უფრო ცნობილი გახდება აქაურ ავტომანქანების გეოგრაფიული წარმომავლობა, რაც არც თუ ისე იშვიათად ეშლებათ ხოლმე, მეორეც, „კოლხეთი“ ორმაგად გაზრდის გუნდის თითოეული წევრის პასუხისმგებლობას და აამაღლებს მათს მოქალაქეობრივ თვითშეგნებას. თორემ რა გამოდის. უყვარს ხოლმე ჩვენს სპორტულ ობივატელს ხშირად გამეორება მყვირალა ფრაზებისა „ქართული ფეხბურთი“... „ქართული ტემპერამენტი“... „ქართული ცეცხლოვანება“... და, ვაი, რომ იშვიათად უფიქრდება იმას, თუ რარიგ დაამშვენებდა მის საყვარელ გუნდს კარგად მორგებული ქართული სახელი, რამეთუ გუნდი, თავადაც მოგეხსენებათ, სახელიდან იწყება.

**ზ. ქუთათელაძე.**

გაგრა.

## ორი ქალაქის მიდამოებში

**გაიმართა** საქართველოს პირველობა მრავალდღიან მოტორბოლაში. ორადგილიანი მანქანებით შეჯიბრების მონაწილეებს წინასწარ დასახელებული პუნქტები გარკვეული სიჩქარით უნდა გაევლოთ, ამასთან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აღმართებზე ჩქაროსნულ სვლაში. ტრასა თბილისისა და რუსთავის გარეუბნებს მოიცავდა. მოზრდილებს 67-კილომეტრიანი წრე ექვსჯერ უნდა შემოევლოთ, ხოლო ჭაბუკებს — ოთხჯერ.

ბრძოლაში ჩაებნენ თბილისისა და სოხუმის (ორ-ორი), ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის, სამტრედიის, ვანის, ბათუმის, გალის, გარდაბნის, ახალციხისა და ცხაკაიას კოლექტივები.

გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა **ქუთაისის** ავტოსკოლის კოლექტივმა, მომდევნო ადგილები წილად ხვდათ **სამტრედიისა** და **რუსთავის** გუნდებს.

ჭაბუკებში ჩემპიონი გახდა **ზ. კაპანაძე** (ქუთაისი) მომდევნო ადგილები ერგოთ **ო. კოსტირიას** (რუსთავი) და **ა. ბელოუსოვს** (თბილისი).

მოზრდილთა შორის 175 კბ-სმ-ის მანქანით რბოლაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ **შ. ზაქაიძე** (გარდაბანი) **რ. ბარდაველიძე** (ზესტაფონი) და **ფ. ოჩიგავა** (ქუთაისი). 250-იანებით რბოლაში — **ნ. გრაბოვსკი** (სოხუმი), **ა. დედიკი** (ქუთაისი) და **თ. ნიკურაძე** (სამტრედია).

ყველაზე მძლავრი — 350 კბ-სმ-ის მოცულობისძრავიანი მანქანით შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ახალციხელმა **პ. კუტენკომ**. სხვა საპრიზო ადგილების მფლობელები არ გამოვლენილან.

**ო. კიკნაველიძე,**

**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

## მოტოსპორტი

**ვლადიმირის** ოლქის ქალაქ კოვროვის მიდამოებში გამართულ მოტოკროსმენთა საკავშირო ჩემპიონატში 125 კბ-სმ-ს მანქანებით ჭაბუკთა რბოლა მოიგო ვ. კანობამ (დონის როსტოვი) და მეცხრედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი.

350 კბ-სმ-ს მანქანებით რბოლაში იმარჯვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. კავინოვმა, რომელმაც თავისი წარმატება ამ ქალაქის 200 წლის თავს მიუძღვნა. კავინოვი სპორტის ამ სახეობას კოვროვის მოტოკლუბში დაეუფლა და ამჟამად უკრაინის ნაკრების სახელს იცავდა.



ტიუმენის ავიასპორტული კლუბის საპარაშუტო და საფრენოსნო სექციებში ასობით სპორტსმენი ვარჯიშობს.

სურათზე: პარაშუტისტები წვრთნაზე. ხაკლესის ფოტო.

## ჭადრაკი

### ისევ 0:0

მსოფლიო პირველობაზე კარპოვ — კორჩნოის მატჩის IV პარტია მე-19 სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

### ყაიმი 36-ე სვლაზე

**ვილნიუსი, 25 ივლისი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გუშინ, ერთდღიანი დასვენების შემდეგ, გაიმართა IX ტურის შეხვედრები.

ცენტრალური იყო ტ. პეტროსიანი — ბ. გულკოს პარტია. გრიუნფელდის დაცვაში პეტროსიანმა პაიკის დროებითი შეწირვით აქტიური პოზიცია მიიღო. მერე აღადგინა მატერიალური თანაფარდობა და პაიკიც მოიგო. გულკო ამაოდ ცდილობდა წაგებისაგან თავის დაღწევას. გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა.

მ. ჩიბურდანიძემ მ. დამიანოვიჩის (იუგოსლავია) წინააღმდეგ სიცილიური დაცვა არჩია და პერსპექტიული თამაში ააწყო. მაგრამ იუგოსლაველმა დიდოსტატმა უვნებელყო ყველა მუქარა და 36-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ქ. კაიშაური (შვეცია) დასაწყისშივე შეცდა ი. ლეხტინსკისთან (ჩეხოსლოვაკია) და ორი პაიკი დაკარგა, დანაკლისი ვერ აინაზღაურა და პარტია წააგო.

მ. დვორეცკიმ მოუგო გ. ლებრედოს (კუბა). დაზავდნენ ი. დორფმანი — ლ. ესპიგი (გდრ) და ი. ჩომი (უნგრეთი) — გ. პეშინა.

ორი პარტია გადაიდო.

9 ტურის შემდეგ ვ. ტუკმაკოვს 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ტ. პეტროსიანს, ი. ლეხტინსკის — 6-6, ი. ჩომს, ლ. ესპიგს — 5-5.

### ზ. აზმაიფარაშვილის წარმატება

ბელგიის პატარა ქალაქ შილდეში ყოველ ზაფხულს ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა საერთაშორისო ტურნირი 18 წლის ასაკამდე ვაჟებს შორის. საკავშირო საჭადრაკო ფედერაციამ წლეულს ამ შეჯიბრებაზე მიავლინა სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ოსტატობის კანდიდატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

ტურნირში 15 ქვეყნის 20 წარმომადგენელი მონაწილეობდა. იგი შვეიცარული სისტემით (9 ტურად) ჩატარდა. ამ სისტემის ტურნირის მოკლე დისტანციაზე, ერთი წარუმატებლობაც საფრთხის ქვეშ აყენებს საბოლოო შედეგს. სწორედ ასეთ არასასიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა აზმაიფარაშვილი III ტურში, როცა ორი გამარჯვების შემდეგ, იგი მოულოდნელად დამარცხდა შვეიცარიელ პ. ზუგერტთან. მას გაცილებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, შვეიცარიელმა მოჭადრაკემ მცდარი სვლა რომ გააკეთა და მერე უცებ იგი უკან დაიბრუნა (შამათი ემუქრებოდა) და სხვა სვლა ითამაშა. კოდექსით სვლის დაბრუნება არ შეიძლება. როგორც ჩანს, ამ ამბავმა წონასწორობიდან გამოიყვანა ჩვენი მოჭადრაკე. თანდათან ინიციატივა დაკარგა და ბოლოს დამარცხდა. საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად საჭირო შეიქნა ყველა პარტიის მოგება. აზმაიფარაშვილმა შეძლო ზედიზედ ექვსი მეტოქის მეფის დატყვევება და დამსახურებულად გაიმარჯვა.

I ადგილის ბედი ფაქტიურად VI ტურში გადაწყდა, როცა აზმაიფარაშვილმა ერთპიროვნული ლიდერი, იუგოსლაველი ა. ნიკოლიჩი დაამარცხა. ნიკოლიჩმა და აზმაიფარაშვილმა 8-8 ქულა მოაგროვეს, მაგრამ კოეფიციენტთა მაჩვენებელი იუგოსლაველს უარესი აღმოაჩნდა. III ადგილი 6,5 ქულით ზუგერტს ხვდა.

ე. უბილავა,
სპორტის ოსტატი.
შილდე — თბილისი.



**ლენინგრადის** ოლქის მეშახტეთა დასახლება სალანცში მდებარე სკოლის მისამართი ყველა მცხოვრებისთვის კარგადაა ცნობილი. აქ სპორტის საყვარელ სახეობებში 600 გოგონა და ბიჭუნა მეცადინეობს.

დგირზე ვარჯიშობს მეხუთეკლასელი ნ. ტროფიმოვა.

საკდესის ფოტო.

## ალპინიზმი

**ყაბარდო-ბალყარეთში** დამთავრდა მასობრივი ალპინიადა, რომელიც ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა. მასში მონაწილეობდა ქვეყნის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების 40 გუნდი, აგრეთვე, ბულგარელი, პოლონელი, უნგრელი, ავსტრიელი, ჩეხოსლოვაკიელი, იტალიელი, შვეიცარიელი და დასავლეთ გერმანელი სპორტსმენები. ალპინიადის დამთავრების შემდეგ მონაწილეებმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებს.

**მოსკოვის** საგარეუბნო ქალაქ მიტიშჩის სასროლეთზე გაიმართა თანამედროვე ხუთჭიდელთა საკავშირო პირველობის ასპარეზობა მესამე სახეობაში — სროლაში. გაიმარჯვა ალმაათელმა ე. ბესონოვმა. მან 199 ქულა მოაგროვა 200-დან, რაც ხუთჭიდის 1110 ქულით შეფასდა. ამან შესაძლებლობა მისცა ბესონოვს მე-11 ადგილიდან საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გადასულიყო. სამი სახე-

## თანამედროვე ხუთჭიდი

ობის შემდეგ კი კვლავ ლიდერობს იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოველი ვ. ნეფედოვი — 3032 ქულა. II ადგილზეა კრასნოდარელი ო. ბულგაკოვი — 2988. ბესონოვს 2980 ქულა აქვს. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლვოველი პ. ლედნიოვი 2942 ქულით მეოთხე ადგილზეა.

## კალათბურთი

**ბულგარეთის** ქალაქ რუსეში დამთავრდა კალათბურთელ გოგონათა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. შესარჩევ მატჩებში მათ დაამარცხეს ბულგარელები (97:75), იუგოსლაველები (101:70), უნგრელები (71:56) და ჰოლანდიელები (93:27). ტურნირში გამარჯვებული გამოვლინდა შეჯიბრების ბოლო დღეს, როცა საბჭოთა გოგონები ჩეხოსლოვაკიელ თანატოლებს შეხვდნენ. საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობა აშკარა იყო და მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 89:61. ასპარეზობის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო ო. ბარელი (სსრ კავშირი).

## ფრენბურთი

**ფრენბურთელ** ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა ბულგარეთის ქალაქ ვარნაში. X საიუბილეო ტრადიციული ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იაპონიისა და უნგრეთის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს იაპონელებმა — 3:2. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ბულგარეთი, პოლონეთი, გდრ, კანადა, კუბა, რსფსრ, რუმინეთი, იუგოსლავია.

## რაგბი

**ქუთაისის** „სახლმშენს", რომელიც უმაღლესი ლიგის საგზურებისთვის მებრძოლი 8 კოლექტივის ტურნირში მონაწილეობს, კვირას გასვლითი მატჩი ჰქონდა მოსკოვის ოლქში. მისი მასპინძელი გახლდათ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი. გაგარინელებმა იმარჯვეს — 28:12.

# მსაჯთა გადაწყვეტილების დასაცავად

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბერნიდან იტყობინება:

„ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთმა უმაღლესმა კანონმდებელმა აქ განაცხადა, რომ სატელევიზიო ფილმები, რომლებზეც აღბეჭდილია ფეხბურთის მატჩის დროს წამოჭრილი ინციდენტები, არ მიიღება რეფერის მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილებების სასარგებლო ან საწინააღმდეგო ოფიციალურ დამამტკიცებელ საბუთად".

უეფა-ს ოფიციალურ ბიულეტენში მოთავსებულ სარედაქციო წერილში გენერალური მდივანი ჰანს ბანგერტერი გამოვიდა კლუბების, გაზეთებისა და ტურნირის ორგანიზატორთა მიერ მოტანილი არგუმენტების წინააღმდეგ, რომ დისციპლინარულ საკითხებზე მომუშავე ინსტანციებმა გადაწყვეტილების მიღებისას შეისწავლონ სატელევიზიო ფილმები.

დისციპლინარული საკითხები, კვლავინდებურად რეფერისა და მატჩზე უეფა-ს ოფიციალური წარმომადგენლის ცნობების საფუძველზე უნდა გადაწყდეს, — აღნიშნავს ბანგერტერი.

„რეფერი, რომელსაც ორი მსაჯი ეხმარება, თავად ღებულობს გადაწყვეტილებას ფეხბურთის მინდორზე და ეს წამის ნაწილებში მიღებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად საბოლოოა". (საკდესი).

### კემპესი ესპანეთში რჩება

როგორც ცნობილი გახდა, არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა და ბომბარდირმა მ. კემპესმა „ვალენსიაში" (ესპანეთი) დაბრუნების შემდეგ თხოვნით მიიღო ამ ქვეყნის ქვეშევრდომობა. ფიფა-ს ახალი წესების თანახმად კემპესი ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს, ვინაიდან იგი უკვე გამოდიოდა არგენტინის ნაკრებში.

### შტოცი — ახალი მწვრთნელი

ავსტრიის ნაკრების ახალ მწვრთნელად სენეკოვიჩის გადადგომის შემდეგ დანიშნულია 51 წლის კარლ შტოცი, რომელმაც ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შტოცს 42-ჯერ აქვს ნათამაშევი ავსტრიის ნაკრებში, 1975-76 წლებში მისი ხელმძღვანელობით ვენის „აუსტრიამ" მოიგო ავსტრიის პირველობა, ხოლო 1977 წელს — თასი.

## ფეხბურთი

### ინგლისი — არგენტინა

ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობამ ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს — არგენტინის ნაკრებს გაუგზავნა მიწვევა საერთაშორისო მატჩის თაობაზე, რომლის გამართვა ნავარაუდევია ა. წ. 28 ნოემბერს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე.

## მძლეოსნობა

**კოლუმბიის** ქალაქ მედელინის სტადიონზე გამართულ ცენტრალური ამერიკის და კარიბის აუზის XIII თამაშებში მონაწილეობისთვის 21 ქვეყნის 3000-ზე მეტი სპორტსმენი შეგროვდა.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები. თბილისელებისთვის კარგად ცნობილმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხუანტორენამ 400 მეტრზე რბენა მოიგო — 44,27, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ლეონარდმა 100 მეტრზე რბენაში იმარჯვა — 10,1.

იამაიკელმა ბარრიფმა მოიგო 400 მეტრზე თარჯრბენი — 50,16, ხოლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მექსიკელმა ბატისტამ 20 კილომეტრზე სპორტული სიარული — 1:29.09,5.

ქალთა შორის ფერგიუსონი (ბაჰამის კუნძულები) 642 სმ სიგრძეზე გადახტა. კუბელმა ჩივასმა 100 მეტრზე ასპარეზობაში 11,17 წამი აჩვენა.

# სსრ კავშირში სასწავლებლად!

**დარ-ეს-სალამი.** „ტანზანიელ სპორტსმენთა ჯგუფი გაემგზავრება საბჭოთა კავშირში ოსტატობის სრულყოფისთვის და მწვრთნელთა მუშაობის გამოცდილების მისაღებად", — წერს გაზეთი „უხურუ". მათ შორის არიან მძლეოსნობის, ფეხბურთისა და კალათბურთის წარმომადგენლები. „სსრ კავშირის მდიდარი გამოცდილების გამოყენებით მწვრთნელთა ეროვნული კადრების მომზადება ხელს შეუწყობს ქვეყანაში სპორტული მუშაობის განვითარებასა და ტანზანიის სპორტული გუნდების განმტკიცებას", — წერს გაზეთი. (საკდესი).

# ვარსკვლავებმა ტრიბუნებზე გადაინაცვლეს

**ბერლინი.** გდრ-ის ორმა ათეულმა ცნობილმა მძლეოსანმა დაამთავრა „დიდ სპორტში" გამოსვლა. ისინი საზეიმოდ გააცილეს ლაიფციგის სტადიონიდან, როცა რესპუბლიკის ჩემპიონატი მიმდინარეობდა.

მათ შორის იყვნენ მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორები გ. ჰოფმანი (1 500 მ) და ქ. ლაზერი (ხუთჭიდი), „ბრინჯაოს" მფლობელი ბადრის ტყორცნაში გ. ჰინცმანი.

მათ გარდა აქტიურ სპორტს გამოეთხოვა ორი ბირთვის მკვრელი — ჰ.-ჰ. გიზი (V ადგილი მონრეალის თამაშებზე) და ჰ.-ი. როტენბურგი (1971 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი), აგრეთვე ბადრის მტყორცნელი ნ. ტაიდე (IV ადგილი ოლიმპიადა-76-ში). (საკდესი).

# ფინეთის სპორტის მუზეუმი

**ჰელსინკი.** წლეულს 40 წელი უსრულდება ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის ტერიტორიაზე მდებარე ფინეთის სპორტის მუზეუმს.

ყოველწლიურად მუზეუმის ექსპონატებს ეცნობა 10-20 ათასი სპორტის მოყვარული. აქ გამოფენილია თასები, დიპლომები, მედლები და ფინეთის საუკეთესო სპორტსმენთა და გუნდების — ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს, ევროპისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ჩემპიონატებში გამარჯვებულთა ფოტოსურათები. ექსპონატთა შორისაა თხილამურები, რომელიც დაახლოებით 2000 წლისაა, XVIII საუკუნის ციგურები და გასული საუკუნის ველოსიპედები.

ფინეთში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა თხილამურები და მძლეოსნობა. ეს მუზეუმის ექსპოზიციაშიც ნათლად ჩანს. საპატიო ადგილზეა პ. ნურმის ქუსლებიანი ფეხსაცმელი და ლ. ვირენის მაისური, აგრეთვე ვ. ხაკულინენის, ე. მიანტიურანტას და ი. მიეტოს თხილამურები.

მუზეუმში ბლომადაა საბჭოთა და ფინელი სპორტსმენების ერთად გადაღებული ფოტოსურათები — ი. ლუისისი და ი. კინუნენი მონრეალის ოლიმპიადაზე, ლეგენდარული საბჭოთა მორბენალი ვ. კუცი და პ. ნურმი, საბჭოთა და ფინელი მოთხილამურეები ლაჰტის მსოფლიო ჩემპიონატზე.

„მუზეუმის არქივში 10 ათასამდე ფოტოსურათია, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა მუზეუმის დირექტორმა არპონენმა — ისინი ასახავენ სპორტის ისტორიას". (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97 52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93 97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98 81; ფოტოლაბორატორია — 93 97-59; მემანქანეები — 93-97-51.